ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ხელმისაწვდომობა მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო სერვისებზე

ნათია აროშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი

თანახელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია არუშვილი

21.06.2025

აბსტრაქტი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით დააღწიონ თავი ძალადობრივ გარემოს და დამოუკიდებლად გააგრძელონ ცხოვრება. ძალადობა მსხვერპლზე ტოვებს სერიოზულ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ტრავმებს, რის გამოც მათ სიღრმისეული რეაბილიტაცია და სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა შეძლონ დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, სახელმწიფოს მიერ ეფექტური და ხელმისაწვდომი მექანიზმების არსებობა მსხვერპლთა დასახმარებლად.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემა სამართლებრივად მოწესრიგებულია, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, პრაქტიკაში მაინც იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზები და ბარიერები, რაც ზღუდავს მსხვერპლთა შესაძლებლობას, რომ დროულად და სრულყოფილად მიიღონ არსებული სახელმწიფო სერვისები და სათანადო მხარდაჭერა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემების და სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც აფერხებენ ძალადობის მსხვერპლთა ხელმისაწვდომობას სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმებზე, განსაკუთრებით – პრიზისულ ცენტრებსა და თავშესაფრებზე. კვლევის პროცესში მიმოხილულია, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ნორმატიული აქტები, ასევე გაანალიზებულია ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მონიტორინგები, ასევე კვლევა ეყრდნობა ჩაღრმავებულ ინტერვიუს კომპეტენტურ პირთან, რაც დამატებით უზრუნველყოფს კვლევის სიღრმისეულობასა და ობიექტურობაზე.

გარდა სამართლებრივი ანალიზისა, ნაშრომში შესწავლილია იმ ქვეყნის პრაქტიკული მაგალითები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ეფექტიანი

მოდელების გამოვლენა და მათგან საქართველოს კონტექსტზე მორგებული რეკომენდაციების შემუშავება. ეს არის მნიშვნელოვანი წინაპირობა არსებული პრობლემების ეტაპობრივად აღმოფხვრისა და სისტემის გაუმჯობესებისთვის.

გარდა ამისა, ნაშრომში ასახულია ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიზანია მომსახურების მიღების გამარტივება და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება. თუმცა, მიუხედავად ამ ცვლილებებისა, არსებული პროგრესი მაინც არასაკმარისია და სახელმწიფოს ევალება კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განაგრძოს ძალადობის მსხვერპლთა სერვისების გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, სახელმწიფო სერვისები, კრიზისული ცენტრი, თავშესაფარი, მსხვერპლი, რეაბილიტაცია.

Abstract

Rehabilitation and integration of victims of domestic violence into society represent one of the key responsibilities of the state. Women who are victims of domestic violence often cannot independently escape abusive environments or continue their lives on their own. Violance leaves serious psychological and social traumas on the victims, which necessitates comprehensive rehabilitation and state support fot them to live independently and fully integrate into society. Therefore, it is essential for the state to have effective and accessible mechanisms to assist victims.

Although the system for protecting and assisting victims of domestic vionece in Georgia is legally regulated – both in national legislation and international legan acts – significant gaps and barriers persist in practice. These hinder victims' ability to timely and fully access existing state services and adequate support.

The aim of this study is to idenitify the problems and systemic shortcomings that impede victims' access to state support mechanisms, particularly crisis centers and shelters. The research reviews both local and international normative acts, analyzes monitoring reports conducted by humand rights organizations and is based on the interview with competent expert which further ensures the depth and objectivity of the study.

In addition to the legal analysis, the study examines practical examples from other countries, through which effective models can be identified and recommendetions tailored to the Georgian context can be developed. This is an important prerequisite for the gradual elimination of existing problems and the improvement of the system.

Furthermore, the study reflects recent legislative changes aimed at simplifying service provision and reducing bureaucratic barriers. However, despite these changes, the progress achieved remains insufficient and the state is obliged to continue accelerating efforts to improve the ensure the accessibility of services for victims of domestic violence.

Keywords: domestic violence, state services, crisis center, shelter, victim, rehabilitation.